

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

2024 წლის ----- ნოემბერი, ქალაქი ბათუმი

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსით გათვალისწინებული განაშენიანების დეტალური გეგმის საფუძველზე, განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტებისას მაკომპენსირებელი ღონისძიების განსაზღვრის საკითხების მოწესრიგების შესახებ

საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 46-ე მუხლისა და 142-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №261 დადგენილების შესაბამისად, დამტკიცებულია „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებები“, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია განაშენიანების დეტალური გეგმით რეგულირებადი საკითხები.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №261 დადგენილებით დამტკიცებულ „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითად დებულებებში“, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 17 ოქტომბრის N403 დადგენილებით, შეტანილი იქნა ცვლილებები, რომლის მიხედვითაც დადგინდა, რომ კოდექსით გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების შემთხვევაში, მაკომპენსირებელ ღონისძიებად განისაზღვროს საპროექტო არეალში საცხოვრებელი ბინა ერთეულ(ებ)ის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ე.წ. „თეთრი კარკასული“ მდგომარეობით გადასაცემი ფართის ოდენობის შესაბამისი ფასის გადახდით, რომელიც განისაზღვრება მშენებლობის ნებართვის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი აუდიტორული დასკვნის (შედგენილი უნდა იყოს იმ აუდიტორული ფირმის მიერ, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მინიჭებული აქვს საზოგადოებრივი დაინტერესების პირის (სდპ) – აუდიტის უფლებამოსილება) საფუძველზე დადგენილი თვითღირებულების შესაბამისად. საცხოვრებელი ბინა ერთეულ(ებ)ის ფართი განისაზღვროს საცხოვრებელი ფუნქციის დასაშვები განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტებით ნამატი ფართის არაუმეტეს 4%-ის ოდენობით. საქართველოს მთავრობის 2023 წლის 17 ოქტომბრის N403 დადგენილების მე-2 მუხლის შესაბამისად, ასევე, განისაზღვრა, რომ დადგენილების მოქმედება არ ვრცელდება ამ დადგენილების ამოქმედებამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 17 ოქტომბრის N403 დადგენილების ამოქმედებამდე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში დაწყებული იყო განაშენიანების დეტალური გეგმების დამტკიცებასთან დაკავშირებით წარმოებები (მათ შორის ცალკეული განაშენიანების დეტალური გეგმები უკვე დამტკიცებულია საკრებულოს მიერ), სადაც ძირითადად მოთხოვნილი იყო განაშენიანობის ინტენსივობის კოეფიციენტების გადამეტება, შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს მიერ შესაბამისი სამართლებრივი აქტებით მაკომპენსირებელ ღონისძიებად განსაზღვრული იყო გაზრდილი განაშენიანობის ინტენსივობის კოეფიციენტების ფართის 10 % სასარგებლო ფართის (შავი კარკასის მდგომარეობაში) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემით ან იგივე ოდენობის სხვა შესაბამისი მაკომპენსირებელი ღონისძიებით, ერთგვაროვანი პრაქტიკის პრინციპით მსგავსად საქართველოს სივრცითი დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 141-ე მუხლის 25-ე ნაწილისა.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 17 ოქტომბრის N403 დადგენილების ამოქმედების შემდეგაც, განაშენიანების დეტალური გეგმების დამტკიცებასთან დაკავშირებით დაწყებულ წარმოებაზეც (მათ შორის ცალკეული განაშენიანების დეტალური გეგმები უკვე დამტკიცე-

ბულია საკრებულოს მიერ), საქართველოს სივრცითი დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 141-ე მუხლის 25-ე ნაწილით დადგენილი მაკომპენსირებელი ღონისძიების მსგავსად, ერთგვაროვანი მიდგომის პრინციპიდან გამომდინარე, გაგრძელდა არსებული პრაქტიკა და განაშენიანების ყველა დეტალურ გეგმასთან მიმართებაში, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს მიერ შესაბამისი სამართლებრივი აქტებით, მაკომპენსირებელ ღონისძიებებზე განსაზღვრულია გაზრდილი განაშენიანობის ინტენსივობის კოეფიციენტების ფართის 10 % სასარგებლო ფართის (შავი კარკასის მდგომარეობაში) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემით, ან იგივე ოდენობის სხვა შესაბამისი მაკომპენსირებელი ღონისძიებით.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 17 ოქტომბრის N403 დადგენილებით დაგენილია, რომ კოდექსით გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების შემთხვევაში, მაკომპენსირებელ ღონისძიებებზე განისაზღვროს უნდა საპროექტო არეალში საცხოვრებელი ბინა ერთეულ(ებ)ის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ე. წ. „თეთრი კარკასული“ მდგომარეობით გადასაცემი ფართის ოდენობის შესაბამისი ფასის გადახდით, შესაბამისად, აუცილებელია მოქმედ კანონმდებლობასთან იმ განაშენიანების დეტალური გეგმებით განსაზღვრული მაკომპენსირებელი ღონისძიებების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით სამართლებრივი მოწესრიგების მექანიზმების შექმნა, რომელზეც ადმინისტრაციული წარმოებები (განაცხადის რეგისტრაცია დეტალური გეგმის დამუშავების ინიცირებაზე) დაწყებულია საქართველოს მთავრობის 2023 წლის 17 ოქტომბრის N403 დადგენილების ამოქმედების შემდეგ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ სივრცითი და ქალაქმშენებლობითი განვითარების სააგენტოს 2024 წლის 21 ნოემრის N 04/1707 წერილის გათვალისწინებით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-19 მუხლის „ა“ პუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ.“ ქვეპუნქტისა და მე-3 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. იმ განაშენიანების დეტალურ გეგმებთან დაკავშირებით, რომლებზეც ადმინისტრაციულ წარმოება დაწყებულია (განაცხადის რეგისტრაცია დეტალური გეგმის დამუშავების ინიცირების შესახებ), საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №261 დადგენილებით დამტკიცებულ „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებებში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 17 ოქტომბრის N403 დადგენილების ამოქმედების შემდეგ (მიუხედავად იმისა რა სტადიაზეა ადმინისტრაციული წარმოება ან დამტკიცებულია თუ არა განაშენიანების დეტალური გეგმა ან/და შესრულებულია თუ არა მაკომპენსირებელი ღონისძიებები პირობა) და რომელიც ითვალისწინებს კოდექსით გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტებას, ნაცვლად ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოების სამართლებრივი აქტებითა და ხელშეკრულებებით დადგენილი მაკომპენსირებელი ღონისძიების პირობებისა, მაკომპენსირებელ ღონისძიებებზე განისაზღვროს საპროექტო მიწის ნაკვეთებზე დაგეგმილი მშენებლობის (შეთანხმებული პროექტის მიხედვით გადამეტებული) კ.1/2 მაჩვენებლის 10%-ს ოდენობის საცხოვრებელი ფართის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემით ან საპროექტო არეალში საცხოვრებელი ბინა ერთეულ(ებ)ის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ე. წ. „თეთრი კარკასული“ მდგომარეობით გადასაცემი ფართის ოდენობის შესაბამისი ფასის მშენებლობის ნებართვის აღებამდე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გადახდით, რომელიც განისაზღვრება მშენებლობის ნებართვის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი აუდიტორული დასკვნის (აუდიტორული დასკვნა შედგენილი უნდა იყოს იმ აუდიტორული ფირმის მიერ, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მინიჭებული აქვს საზოგადოებრივი დაინტერესების პირის (სდპ) – აუდიტის უფლებამოსილება) საფუძველზე დადგენილი თვითღირებულების შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში საცხოვრებელი ბინა ერთეულ(ებ)ის ფართი განისაზღვროს საცხოვრებელი ფუნქციის დასაშვები განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტებით ნამატი ფართის 4%-ის ოდენობით.

2. დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას დაინტერესებული პირების მომართვის შემთხვევაში, ნაცვლად ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოების სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული მაკომპენსირებელი ღონისძიებებისა უზრუნველყოს ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული, შესაბამისი მაკომპენსირებელი ღონისძიებების გამოყენება.

3. განაშენიანების დეტალურ გეგმებთან დაკავშირებით, რომლებზეც ადმინისტრაციული წარმოება (განაცხადის რეგისტრაცია დეტალური გეგმის დამუშავების ინიცირების შესახებ) დაწყებულია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №261 დადგენილებით დამტკიცებულ „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებებში ცვლილებების შეტანის თაობაზე“, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 17 ოქტომბრის N403 დადგენილების ამოქმედებამდე, შესაბამისი სამართლებრივი პროცედურები გაგრძელდეს განსაზღვრული მაკომპენსირებელი ღონისძიებების უცვლელად.

4. დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას, კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიმუშავოს, 2025 წლის 1 იანვრიდან ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დასამტკიცებელი მაკომპენსირებელი ღონისძიებების განსაზღვრის წესი.

5. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარის მ/შ

ირაკლი თავდგირიძე

**განმარტებითი ბარათი
პროექტის სახელწოდება და სათაური**

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსით გათვალისწინებული განაშენიანების დეტალური გეგმის საფუძველზე, განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტებისას მაკომპენსირებელი ღონისძიების განსაზღვრის საკითხების მოწესრიგების შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

განკარგულების მიღების მიზანია საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსით გათვალისწინებული განაშენიანების დეტალური გეგმის საფუძველზე, განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტებისას მაკომპენსირებელი ღონისძიების განსაზღვრის საკითხების მოწესრიგება საქართველოს მთავრობის 2023 წლის 17 ოქტომბრის N403 დადგენილებასთან შესაბამისობაში.

ა.ბ. პროექტის ძირითადი არსი:

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 46-ე მუხლისა და 142-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №261 დადგენილების შესაბამისად, დამტკიცებულია „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებები“, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია განაშენიანების დეტალური გეგმით რეგულირებადი საკითხები.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №261 დადგენილებით დამტკიცებულ „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითად დებულებებში“, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 17 ოქტომბრის N403 დადგენილებით, შეტანილი იქნა ცვლილებები, რომლის მიხედვითაც დადგინდა, რომ კოდექსით გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების შემთხვევაში, მაკომპენსირებელ ღონისძიებად განისაზღვროს საპროექტო არეალში საცხოვრებელი ბინა ერთეულ(ებ)ის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ე.წ. „თეთრი კარკასული“ მდგომარეობით გადასაცემი ფართის ოდენობის შესაბამისი ფასის გადახდით, რომელიც განისაზღვრება მშენებლობის ნებართვის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი აუდიტორული დასკვნის (შედგენილი უნდა იყოს იმ აუდიტორული ფირმის მიერ, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მინიჭებული აქვს საზოგადოებრივი დაინტერესების პირის (სდპ) – აუდიტის უფლებამოსილება) საფუძველზე დადგენილი თვითღირებულების შესაბამისად. საცხოვრებელი ბინა ერთეულ(ებ)ის ფართი განისაზღვროს საცხოვრებელი ფუნქციის დასაშვები განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტებით ნამატი ფართის არაუმეტეს 4%-ის ოდენობით. საქართველოს მთავრობის 2023 წლის 17 ოქტომბრის N403 დადგენილების მე-2 მუხლის შესაბამისად, ასევე, განისაზღვრა, რომ დადგენილების მოქმედება არ ვრცელდება ამ დადგენილების ამოქმედებამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 17 ოქტომბრის N403 დადგენილების ამოქმედებამდე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში დაწყებული იყო განაშენიანების დეტალური გეგმების დამტკიცებასთან დაკავშირებით წარმოებები (მათ შორის ცალკეული განაშენიანების დეტალური გეგმები უკვე დამტკიცებულია საკრებულოს მიერ), სადაც ძირითადად მოთხოვნილი იყო

განაშენიანობის ინტენსივობის კოეფიციენტების გადამეტება, შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს მიერ შესაბამისი სამართლებრივი აქტებით მაკომპენსირებელ ღონისძიებად განსაზღვრული იყო გაზრდილი განაშენიანობის ინტენსივობის კოეფიციენტების ფართის 10 % სასარგებლო ფართის (შავი კარკასის მდგომარეობაში) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემით ან იგივე ოდენობის სხვა შესაბამისი მაკომპენსირებელი ღონისძიებით, ერთგვაროვანი პრაქტიკის პრინციპით მსგავსად საქართველოს სივრცითი დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 141-ე მუხლის 25-ე ნაწილისა.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 17 ოქტომბრის N403 დადგენილების ამოქმედების შემდეგაც, განაშენიანების დეტალური გეგმების დამტკიცებასთან დაკავშირებით დაწყებულ წარმოებაზეც (მათ შორის ცალკეული განაშენიანების დეტალური გეგმები უკვე დამტკიცებულია საკრებულოს მიერ), საქართველოს სივრცითი დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 141-ე მუხლის 25-ე ნაწილით დადგენილი მაკომპენსირებელი ღონისძიების მსგავსად, ერთგვაროვანი მიდგომის პრინციპიდან გამომდინარე, გაგრძელდა არსებული პრაქტიკა და განაშენიანების ყველა დეტალურ გეგმასთან მიმართებაში, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს მიერ შესაბამისი სამართლებრივი აქტებით, მაკომპენსირებელ ღონისძიებად განსაზღვრულია გაზრდილი განაშენიანობის ინტენსივობის კოეფიციენტების ფართის 10 % სასარგებლო ფართის (შავი კარკასის მდგომარეობაში) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემით, ან იგივე ოდენობის სხვა შესაბამისი მაკომპენსირებელი ღონისძიებით.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 17 ოქტომბრის N403 დადგენილებით დაგენილია, რომ კოდექსით გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების შემთხვევაში, მაკომპენსირებელ ღონისძიებად განისაზღვროს უნდა საპროექტო არეალში საცხოვრებელი ბინა ერთეულ(ებ)ის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ე. წ. „თეთრი კარკასული“ მდგომარეობით გადასაცემი ფართის ოდენობის შესაბამისი ფასის გადახდით, შესაბამისად, აუცილებელია მოქმედ კანონმდებლობასთან იმ განაშენიანების დეტალური გეგმებით განსაზღვრული მაკომპენსირებელი ღონისძიებების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით სამართლებრივი მოწესრიგების მექანიზმების შექმნა, რომელზეც ადმინისტრაციული წარმოებები (განაცხადის რეგისტრაცია დეტალური გეგმის დამუშავების ინიცირებაზე) დაწყებულია საქართველოს მთავრობის 2023 წლის 17 ოქტომბრის N403 დადგენილების ამოქმედების შემდეგ.

განკარგულების მიხედვით იმ განაშენიანების დეტალურ გეგმებთან დაკავშირებით, რომლებზეც ადმინისტრაციულ წარმოება დაწყებულია (განაცხადის რეგისტრაცია დეტალური გეგმის დამუშავების ინიცირების შესახებ), საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №261 დადგენილებით დამტკიცებულ „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებებში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 17 ოქტომბრის N403 დადგენილების ამოქმედების შემდეგ (მიუხედავად იმისა რა სტადიაზეა ადმინისტრაციული წარმოება ან დამტკიცებულია თუ არა განაშენიანების დეტალური გეგმა ან/და შესრულებულია თუ არა მაკომპენსირებელი ღონისძიებები პირობა) და რომელიც ითვალისწინებს კოდექსით გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტებას, ნაცვლად ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოების სამართლებრივი აქტებითა და ხელშეკრულებებით დადგენილი მაკომპენსირებელი ღონისძიების პირობებისა, მაკომპენსირებელ ღონისძიებად განისაზღვროს საპროექტო მიწის ნაკვეთებზე დაგეგმილი მშენებლობის (შეთანხმებული პროექტის მიხედვით გადამეტებული) კ.1/2 მაჩვენებლის 10%-ს ოდენობის საცხოვრებელი ფართის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემით ან საპროექტო არეალში საცხოვრებელი

ბინა ერთეულ(ებ)ის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ე. წ. „თეთრი კარკასული“ მდგომარეობით გადასაცემი ფართის ოდენობის შესაბამისი ფასის მშენებლობის ნებართვის აღებამდე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გადახდით, რომელიც განისაზღვრება მშენებლობის ნებართვის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი აუდიტორული დასკვნის (აუდიტორული დასკვნა შედგენილი უნდა იყოს იმ აუდიტორული ფირმის მიერ, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მინიჭებული აქვს საზოგადოებრივი დაინტერესების პირის (სდპ) – აუდიტის უფლებამოსილება) საფუძველზე დადგენილი თვითღირებულების შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში საცხოვრებელი ბინა ერთეულ(ებ)ის ფართი განისაზღვროს საცხოვრებელი ფუნქციის დასაშვები განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტებით ნამატი ფართის 4%-ის ოდენობით.

ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

ბ.ა) განკარგულების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო: არ გამოწვევს ხარჯებს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები, სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციები მიღებულია სსიპ სივრცითი და ქალაქმშენებლობითი განვითარების სააგენტოდან.

ე) პროექტის ავტორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის

ქალაქგანვითარებისა და ურბანული

პოლიტიკის სამსახურის უფროსი

გიორგი წანაწყენიშვილი